

ნოჯისური

ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,
მძინარეც ამას ვდუდუნებ
ვაჟა-ფშაველა

ლიტერატურული გაზეთი №1 (18)

მირკანი 2010

ჩემი საქართველოვ!

ჩემი ყურთასმენა
შენს მკერდს მიმიღვია
შენი გულისრემა
ჩემი სიმდიდრეა!
თუ ვინ პატარაა,
ანდა ვინ დიდია,
ამის ზომა-წონა
ღვთისთვის მიმინდვია!
შენ ის მიკარნახე,
ჩემო საქართველოვ,
ზოგჯერ გულის ზზარჩე
როგორ ვავამრთელო?
კვლავარ მიკარნახე,
სიბრძნე სახვალისო,
ზოგჯერ მონყენილი
როგორ ვახალისო?
როჯა რამე გიჭირს,
წუხილი მიკიდია,
შენი კარგად ყოფნა
ჩემი სიმდიდრეა!
შენი წარსული და
შენი ისტორია —
ჩვენი ფესვებია.
ჩვენი შხის ცოლია!
შენი სიმძირეუკი
ჩვენი სიმდიდრეა,
შენთვის თავგანწირვა
ჩემი სიმდიდრეა!
თუ რამ ფიქრებია,
თუ რამ მიზნებია,
შენკენ რომ მოვყვარ,
სწორედ ის გზებია!
თუ რამ გამაჩნია,
შენთვის მიმინდვია,
ჩემი სიღარიბე
ჩემი სიმდიდრეა!

გურამ კლდიაშვილი



31 მარტი

ქართული ეროვნულ-განმანათლებლებელი მოძრაობის პატრიარქი, მწერალი, ფილოსოფოსი, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი, სამშობლოსათვის წამებული მამულიძევილი ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია 71 წლისაა.

31 მარტის რეზიუმე

ზვიად გამსახურდიას მისია:
„თანხმა ხართ თუ არა აღსდგეს საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“

„ღიას“

3.266.285 ხმა (+1)

სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, სამშობლოს უბოროტესმა მტრებმა, ვერ აპატიეს საქართველოს ეროვნულ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას, რომელიც ქვეყნის სხვა მმართველებთან შედარებით ბევრად განსწავლულიც იყო და ბევრად გულმხურვალე პატრიოტიც!

როდის დადგება ის დღე დიადი როს ბორკილებს შევხსნით ერს დამცირებულს და დაუბრმავებს თვალს განთიადი, ჩრდილეთის ნითელ ჯალათთა კრებულს! და საქართველო დიდჭირნახული გამოფხიზლდება ყველა იოგით, ჩვენ ღვთისმშობელი გვწყალობს ხახულის და გვიცავს მარად თეთრი გიორგი.

ზვიად გამსახურდია

ცაცხული გამოვლილი აღიარება 1991 წელი

- 27 აგვისტო — რუმინეთი, მოლდავეთი;
- 30 აგვისტო — აზერბაიჯანის რესპუბლიკა;
- 13 სექტემბერი — სომხეთის რესპუბლიკა;
- 16 დეკემბერი — მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა;
- 25 დეკემბერი — ლიტვის რესპუბლიკა, კანადა, აშშ;
- 26 დეკემბერი — ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკა, კუბის რესპუბლიკა, ტაილანდის სამეფო, ინდოეთის რესპუბლიკა;
- 27 დეკემბერი — ვიეტნამის სოც.რესპუბლიკა, ბელორუსიის რესპუბლიკა, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა, ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, სლოვენეთის რესპუბლიკა;
- 28 დეკემბერი — იორდანის სამეფო, ხორვატიის რესპუბლიკა;
- 30 დეკემბერი — ლიბანის რესპუბლიკა;
- 31 დეკემბერი — პაკისტანის ისლამური რესპუბლიკა.

1992 წელი

- 2 იანვარი — ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, ერაყის რესპუბლიკა, ეთიოპია;
- 6 იანვარი — ბურუნდის რესპუბლიკა;
- 8 იანვარი — ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა;
- 23 იანვარი — ბულგარეთის რესპუბლიკა;
- 24 იანვარი — ჩეხეთის და სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკა;
- 6 მარტი — იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა.

ღვთით განწირულნი არა ვართ!

გადმოგვაცოხთა არწივმა,
ჩვენს კარ-მიდამოს ზვერავსა,
ფრთით მოფრენს, თვალთ დაქებებს
ვაყებს, არწივის ფერათა
და... ვერ პოულობს, ქვეყანა
მტერს გაუთქერავს ვერავსა.
- რა დაგემართათ, - იძახის, -
რამ დაგისეტყვათ გონება,
რამ დაგოწყვიტათ ვაყები -
არწივს რომ მოეწონება,
რა ქარმა დაგაბეჩავათ,
ვინ მოგისაჯათ მონება?!
ყვავ-ყორანს რატომ დანებდა
არწივის სანათესაო?!
კაცი ჯიშს გადადგომია -
ცრუობს, ყრუობს და ქლესაობს,
შემოსცვეთია ღირსება
და ცრუ სიტყვებით მეძაბს.
ელოდეთ, ვიდრე ცრემლით და
სისხლით გაძღება პითონი,
ვიდრე ტყე გაითიბება,
გამოილევა ლითონი,
ვიდრე ერს „უპატრონებენ“
ფრანგნი, სლავნი და ინდონი..
ვიდრე ქვეყანას გაიტანს
ლიქნით მოსული მპარავი,
ვიდრე ყორანი დაგძახებთ
ხმითა ცვიით და მზარავით,
ელოდეთ ვიდრე გაწყდებით
და არ გიტყვიან არაინ!
გადმოგვაცოხთა არწივმა -
ჩვენმა მცველმა და მფარავმა,
ჩვენი ბრძოლა და ტკივილი
არწივმა იპატარავა:
ვიდრე ის წუხს და დაგვძახის
ღვთით განწირულნი არა ვართ.

გამსაკ ნიკლაური

საყურადღებო აზრები:

„როგორც ყოველ ადამიანს, ერსაც ამქვეყნად თავისი მისია აქვს. საამაყო, რომ მთელი ისტორიის მანძილზე ვინარჩუნებდით ჩვენს ფუნქციას, - მტრის აურაცხელი შემოსევების მიუხედავად საუკუნეთა მანძილზე ვიყავით აღმოსავლეთში ქრისტიანული, კულტურული სამყაროს ფორპოსტში, ხოლო ჯვაროსნული ომების დროს — მთელი ევროპული კოალიციის ანგარიშგასაწიფი მოკავშირე ძალა.“

ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

„ლაზარე ყარდა და საქართველოც სულ დაიშლება, მაგრამ უფალმა რომ ლაზარე აღადგინა, რომელიმე ნეკნი აკლდა? ასევე იქნება საქართველო ნიკოფსი-იდან დარუბანდამდე.“

მამა გაბრიელი

„არავითარი ბედნიერება არ მწამს, უკეთუ ჩემი სამშობლოს ხარჯზე იქნება.“

ლევან გოთუა

„არც თუ ისე შორეულ წარსულთან ერთად... ბნელი საუკუნეებიც რეკავენ. ძალაუნებურად უნდა გაუგონო.“

კონსტანტინე გამსახურდია

„ენა, როგორც გასაღები დაკეტილისა, ყველაზე

უფრო შემძლებელია და ყველაზე სანდო მონემა ცივილიზაციის ისტორიისათვის.“

ილია ჭავჭავაძე

„ვაუკაცს მოთმინება უნდა ჰქონდეს და დროის მოლოდინი უნდა იცოდეს.“

ალექსანდრე ყაზბეგი

„ვისა ჰქვიან პატრიოტი? მას, ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება.“

იაკობ გოგებაშვილი

„ქართულ ენაში არის ერთი გასაოცარი სიტყვა, რომელიც ნათელყოფს, თუ რამდენად ორიგინალურია ეს შტრიხი ქართველი ერისთვის. ეს არის სიტყვა „გენაცვალე“, აგრეთვე გამოთქმა „შენი ჭირიმე“. რომელ ენას გააჩნია მსგავსი სიტყვები? მოყვასისთვის თავგანწირვაშია ქართული ისტორიის პათოსი და როდესაც დაუფიქრებთ: რამ მოიყვანა ქართველი ერი დღემდის, რამ გადაარჩინა ისტორიის შემზარავ ქარტყილებს, რწმუნდები, რომ მხოლოდ და მხოლოდ ამ თავისებურებამ, ეს თვისება სისხლში ჰქონდა გამჯდარი ერს... განა ამას არ გვიმომწებს „ვეფხისტყაოსანი?“ სად არსებობს უფრო გრანდიოზული აპოლოგია მოყვასისთვის თავგანწირვისა?

ზვიად გამსახურდია




რა განძი გვქონია!..

ტაო-კლარჯეთი-ოშკი. X საუკუნე. ოშკის ბრწყინვალე ტაძრი აღმართულია თორთუმის წყლის მარცხენა მხარეს, თორთუმის ტბაში ჩამდინარე თორთუმის წყლის შესართავის მახლობლად მალალ მთაზე.

ტაძარი ნაგებია მოყვითალო-ნითელი, წმინდად თლილი ქვით და, მიუხედავად საგრძნობი დაზიანებისა, დღესაც აოცებს მნახველს სიდიდით, სიმალლითა და ყველა ნაწილის პროპორციულობით, ქანდაკოვანი დეკორაციითა და სხვადასხვაგვარი პოლიქრომული სამკაულით.

ოშკის ამშენებელნი ყოფილან ტაოს ბაგრატიონები, ადარნასე III კურაპალატის (+961) შვილები- ბაგრატი ერისთავთერისთავი (+966) და დავით მაგისტროსი, შემდგომ დავით დიდად ნოდებულის, ტაოს კურაპალატი (+1001).

ტაძრის მშენებლობა დასრულებულა 958-961 წლებში. მშენებლობას მეთაურობდა გრიგოლ ოშკელი.



ანზორ ჯოშია

(დასასრული. დასაწყისი იხ. „ნოვოზიური“ №16,17, 2009 წელი)

სამწუხაროდ, დაუდგენელია, რატომ დაერქვა ახალ სამეფოს „იბერიის სამეფო“ მაშინ როდესაც კოლხეთის (ეგრისის) სამეფოში დასახლებულ სხვადასხვა ტერიტორიულ ჯგუფებში არც იბერია ნახსენები და არც იბერები.

ქართველი მეცნიერების ერთი ჯგუფი ვარაუდობს, თითქოს ტერმინ იბერიის წარმოშობა ტერმინ „სასპერიასთან“ იყოს დაკავშირებული, რომ ეს ძალიან ხელოვნური ჩანს, აშკარად არარეალურია.

შესაძლებელია შემდეგ გარემოებასთან გვეკონდეს საქმე — ქართველ მეცნიერებში არსებობს მოსაზრება, თითქოს კოლხეთის წინარე ეპოქაში ჩვენს ქვეყანას ერქვა „იბერია“ და მის მკვიდრებს იბერები და ბერძნებმა იმიტომ დაარქვეს „კოლხეთის სამეფო“ და მის მკვიდრებს „კოლხები“, რომ ისინი განესხვავებინათ დასავლეთის იბერებისგან.

დიდი მეცნიერი ნიკო მარი მიიჩნევდა, რომ კოლხეთის წინარე ეპოქაში ეგრისის სამეფო ერქვა იბერიას და ეგრებს (მეგრელებს) იბერები.

ასევე ანგარიშგასანევია დიდი მამულიშვილის იოსებ ყოფიძის მოსაზრება ამ საკითხზე. თავის ნაშრომში „მეგრული (იბერიული) ენის გრამატიკა“ წერს, რომ იყო დრო ქრისტეს დაბადებამდე, როდესაც დასავლეთის იბერები ბატონობდნენ აღმოსავლეთის ნათესავებზე და იმიტომ დაერქვა აღმოსავლეთ საქართველოს „იბერია“. ასევე, როდესაც ქართლები დაეუფლნენ ძალაუფლებას, „იბერიას“ დაერქვა „საქართველო“.

იგი იბერიულ და მეგრულ ენებს, ეტყობა ერთი და იგივე ენობად მიიჩნევა, რაც ნიგნის სათაურიდანაც ჩანს, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გავრცელებულ მეგრულ ტოპონიმებს, გამოთქმებს „იბერიზებად“ მოიხსენიებს.

სხათაშორის „იბერიაც“ აშკარად მეგრული ფორმის სიტყვაა და შესაძლებელია, მასში მეგრული შინაარსი იდოს, მითუმეტეს, ძველ მეგრულში „ბერი“ ნიშნავს შვილს.

ჟურნალში „ისტორიული ვერტიკალები“ (თბ, №1 2001წ.) გამოქვეყნდა ჩემი სტატია - „ხომ არ დავარქვავთ საქართველოს ძველი ისტორიული სახელი „იბერია?“

მასში გამოვთქვი მოსაზრება, — თუ ჩვენს ქვეყანას „იბერია“ დაერქმეოდა, არ იქნებოდა საეჭვო ქართველების ევროპელობა. მითუმეტეს, ქართველი ხალხისთვის ცნება „იბერია“ ისეთივე მშობლიურია, როგორც საქართველო.

სტატიას გამოხმაურება არ მოჰყოლია, მაგრამ, ვფიქრობ ეს სა-

კითხი ყურადღების ღირსია, მით უმეტეს ჩვენი ქვეყანა, ალბათ ერთადერთია, რომელსაც არავინ იცნობს თავისი სახელით. „გიორგია“, „ჯორჯია“, „გრუზია“, „გურჯისტან“, „ერასტან“ — აი, ის სახელები, რომლებიც საქართველოს მოიხსენიებენ.

რამ განაპირობა ეს სიტუაცია ჩვენთვის უცნობია. ეტყობა ეს იმ ეპოქაში მოხდა, როდესაც ჩვენს ქვეყანას ჯერ კიდევ არ ერქვა „საქართველო“.

ყოველ შემთხვევა-

თისგან დამოუკიდებლად არსებობდნენ. მეცნიერები კი მიიჩნევენ, რომ ნებისმიერი ენა 1000 წლის განმავლობაში ჩვეულებრივ 20-25 პროცენტით იცვლება. მითუმეტეს, იბერიის (ქართლის) სამეფო საუკუნეების მანძილზე იმყოფებოდა სპარსულ-არაბული სამყაროს გავლენის სფეროში, რამაც დიდი გავლენა მოახდინა, ქართულ ენაზე. სათანადოდ სრულიად ბუნებრივია ის განსხვავება, რაც არსებობს მეგრულ და ქართულ ენებს შორის.

ყოველ შემთხვევაში, შეიძლება ერთმნიშვნელოვნად ითქვას — სწორედ მეგრულ ენას უნდა ეწოდოს პროტოქართული ენა, რომელიც საფუძვლად დაედო კლასიკურ ქართულ ენას.

სამწუხაროდ, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ყოველივე ეს

შესაძლებელია, უძველეს ქართულ ენაში, მართლაც 38 ბგერა ყოფილიყო.

თუ გავითვალისწინებთ დიდი ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებას, რომ ასოთმთავრული დამწერლობა ძველი ნელთალრიცხვის ეპოქაშია შექმნილი, შესაძლებელია, იგი კოლხეთის (ეგრისის) სამეფოში იყოს შესაძლებელია, იგი კოლხური (მეგრული) ენის საწარად.

ყოველ შემთხვევაში, მეგრული იყო სახელმწიფო ენაკოლხეთის სამეფოში, ხოლო ძვ.წ. IV საუკუნიდან, აღმოსავლეთ ნაწილში იბერიის სამეფოს წარმოჩენის შემდეგ, სადაც სახელმწიფო ენა გახდა ქართული, მეგრული ენა ისევე დარჩა სახელმწიფო ენად დასავლეთ საქართველოს ერთიან ეგრისის სამეფოში და ასევე

იბერიის (ქართლის) სამეფოს ტერიტორიას, რომელიც უკვე აღარ იყო არაბების ხელში და არც აღმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა.

ვინც ამას შეძლებდა, დიდი შანსი უჩნდებოდა ერთიან საქართველოს სათავეში აღმოჩენილიყო. სწორედ ეს შეძლო „ეგრის-აფხაზეთის“ მეფე გიორგი I-მა (861-868წ.). მან შემოიერთა ეს ტერიტორია (თბილისის გარდა) და იქ თავისი ერისთავი დასვა.

ამის შემდეგ „ეგრის-აფხაზეთის“, სამეფოს ცენტრი ბედიდანი ქუთაისში იქნა გადატანილი, რაც ტერიტორიულად გამართლებული იყო.

ეგრისის ეკლესია საბოლოოდ გამოეყო ბიზანტიას და მცხეთის ეკლესიას დაექვემდებარა. რაც მთავარია IX საუკუნიდან

კოლხები — ქართველების წინაპრები

ში, შესაძლებელია ხალხის მეცნიერებას შემორჩენოდა, რომ შორეულ წარსულში ჩვენს ქვეყანას „იბერია“ ერქვა და ამიტომ დაერქმიათ ახალი სამეფოსთვის იბერიის სამეფო.

დღეს თითქმის შეუძლებელია ერთმნიშვნელოვნად ითქვას, პროკოლხურ ეპოქაში ჩვენს ქვეყანას „ეგრისი“ ერქვა თუ „იბერია“, ხოლო მკვიდრ მოსახლეობას „მეგრები“ თუ „იბერები“ მაგრამ ამას არც აქვს არსებითი მნიშვნელობა. მთავარია, რომ ისინი ერთი იყვნენ — „იბერები“ ერქვათ თუ „მეგრები“.

სხვათაშორის, დღესაც არაა დადგენილი, თუ ვინ ჩაუყარა საფუძველი „იბერიის“ სამეფოს, მაგრამ აშკარაა, რომ ისინი იქნებოდნენ ზოგიერთები იმ ტერიტორიული ჯგუფებიდან, რომლებიც იყვნენ დასახლებული კოლხეთის (ეგრისის) სამეფოში. მითუმეტეს, პეროდოტის ეპოქაშიც კი (ძვ.წ. V ს.), ტერიტორიაზე შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე არავინ ჩანდა, გარდა ამ ჯგუფებისა.

მართლაც, ზოგიერთი ქართველი მეცნიერი ვარაუდობს, თითქოს „იბერიის სამეფო“ შექმნეს მესხებმა, რაც სრულიად შესაძლებელია, ვინაიდან, როგორც ბერძენი სწავლული ჰეკატე მილეთელი (ძვ.წ. VI ს.) გვამცნობს, მესხებიც კოლხები (მეგრელები) ყოფილან და მესხეთიც კოლხეთის სამეფოში ყოფილა; ფაქტობრივად, ერთ-ერთი კოლხური (მეგრული) ტერიტორიული ჯგუფი ყოფილა.

ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ იბერები იგივე კოლხები (მეგრელები) და ქართველები ერთი ეთნოსის ხალხია.

ბუნებრივია, მათი მშობლიური ენა იქნებოდა კოლხური (მეგრული), მაგრამ „იბერიის სამეფოს“ წარმოქმნის ეპოქიდან (ძვ.წ. IV ს.) ჩამოყალიბდა იბერიული ენა, რომელსაც საფუძვლად დაედო მეგრული ენა.

მართლაც, იბერიული (რომელსაც შემდგომში ეწოდა ქართული ენა) და მეგრული ენები იმდენად ერთნაირია, რომ თითქმის გამოირიცხვება, ისინი სხვადასხვა ხალხების შექმნილი იყოს.

განსხვავება, რომელიც შეიმჩნევა მეგრულ და ქართულ ენებს შორის, ეტყობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ კოლხეთის (ეგრისის) და იბერიის (ქართლის) სამეფოები, თითქმის 13-14 საუკუნის განმავლობაში, ერთმანე-

ვრე გააცნობიერეს ქართველმა მეცნიერებმა, რაზედაც მეტყველებს ის გარემოება, რომ მათ არასდროს უთქვამთ, იბერები და კოლხები ერთი არიანო, მიუხედავად იმისა, რომ, მათ ამის ისტორიული, მეცნიერული და მორალური საფუძვლები ჰქონდათ. მითუმეტეს, ამის აღიარება, იგივეა, რომ თქმულიყო ქართველები და მეგრელები ერთი არიანო — რადგანაც იბერიის მემკვიდრეებად ქართულებს მიიჩნევენ, ხოლო კოლხების მემკვიდრეებად — მეგრელებს.

ბუნებრივია, ეს გამოირიცხავდა ქართულობის ერთგვარ პრიორიტეტს მეგრელობასთან შედარებით ქართველობის საკითხში და უაზრობად გახდოდა კუთხურ ცნობიერებას, რომელმაც საშინელი როლი ითამაშა საქართველოს ისტორიაში.

ამდენად, მეგრული ენის არსებობამ არ შეიძლება ევროკონვენციას მისცეს საფუძველი, თითქოს მეგრელები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები არიან. მითუმეტეს, მეგრული ენა, ფაქტობრივად, ძველი ქართული ენაა, ხოლო მეგრელები უძველესი ტყეშმარტი ქართველები არიან.

რადგანაც კოლხური ენა იგივე მეგრული ენა ყოფილა, აშკარაა, რომ მეგრულ ენას თითქმის 2000 წლის განმავლობაში სახელმწიფო ენის სტატუსი ჰქონდა, მაგრამ დაუდგენელია, ჰქონდა თუ არა დამწერლობა.

მართალია, ანტიკური ეპოქის ბერძენი სწავლულები, პეროდოტე, აპოლონიოს როდონელი და სხვები თვლიდნენ, რომ კოლხებს (მეგრელებს) დამწერლობა უნდა ჰქონოდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, უძველესი ნამუშევრები ნანახი არ არის, თუმცა ამ ვარიანტის სასარგებლოდ შეიძლება მეტყველებდეს შემდეგი გარემოება — უძველეს კლასიკურ ასოთმთავრულ დამწერლობაში 38 ასო-ნიშანია, მაშინ როდესაც ქართული ენისთვის საკმარისია 33 და რატომაც ეს ასე, დღესაც გაურკვეველია.

მეცნიერები მიიჩნევენ, თითქოს ზოგიერთ დამწერლობაში ასო-ნიშნების რაოდენობას ხელოვნურად ზრდიდნენ, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მასში კალენდრის ჩადება, მაგრამ ამისთვის საკმარისი იყო 31 ასო-ნიშანი, ქართულს ეს არ სჭირდებოდა, მაშინ როდესაც მეგრულ ენაში (სვანურშიც) კიდევ 2 ბგერა და

რძელდა თითქმის X საუკუნემდე. ეგრისის სამეფოში, ახალი ნელთალრიცხვის პირველი საუკუნეებიდან, ფაქტობრივად, არ ჩანან ის წერილ-წერილი ტერიტორიული ჯგუფები რომლებიც იყვნენ დასახლებული მის ტერიტორიაზე ძველი ნელთალრიცხვის ეპოქაში, მაგრამ I-II საუკუნეებში, ეგრისის სამეფოს სინამდვილეში წარმოჩნდნენ ახალი ადმინისტრაციული ერთეულები — ლაზიკის, აფხაზეთისა და მარგვეთის საერითაოების სახით.

ამ ცვლილებას არც ეთნიკური, არც ენობრივი ცვლილებები არ მოჰყოლია, ვინაიდან ლაზებიც, აფხაზებიც და მარგველებიც მეგრელები იყვნენ და კოლხეთის (ეგრისის) სამეფოში დასახლებული წერილ-წერილი ჯგუფები, III-IV საუკუნეებიდან, ფაქტობრივად, მოიაზრებოდნენ მეგრელების ქვეშ; მათ შორის ლაზები, აფხაზებისა და მარგველების ქვეშ.

ეს საერითაოებში აქტიურად მონაწილეობდნენ ეგრისის სამეფოს სინამდვილეში.

უფრო მეტი, V-VIII საუკუნეებში ეგრისის სამეფოს სათავეში აღმოჩნდა ლაზური დინასტიის წარმომადგენელი, რის გამოც მას „ლაზიკის სამეფოდ“ მოიხსენიებდნენ და მეგრელებს (მათ შორის აფხაზებსა და მარგველებსაც) — „ლაზებად“.

ასეთივე მოვლენას ჰქონდა ადგილი VIII-X საუკუნეებში, როდესაც ეგრისის სამეფოს სათავეში მოვიდა აფხაზური დინასტიის წარმომადგენელი და ამ ეპოქაში ეგრისის სამეფოს „აფხაზთა სამეფოს“, უფრო ზუსტად, „ეგრის-აფხაზეთის სამეფოდ“ მოიხსენიებდნენ, ხოლო მკვიდრ მოსახლეობას, მეგრელებს (მათ შორის ლაზებსა და მარგველებსაც) — „აფხაზებად“.

ეგრისის სამეფოში აფხაზთა ზეობის ეპოქაში დიდი ქართული საქმეები გაკეთდა — ეგრისის სამეფო მყარად აღსდგა ისტორიულ საზღვრებში, ფაქტობრივად, გამოვიდა ბიზანტიის გავლენის სფეროდან. ეგრისის ეკლესია გამოეყო ბიზანტიის ეკლესიას, სამეფოში აშენდა მთელი რიგი ქრისტიანული კერები და „ეგრის-აფხაზეთის“ სამეფო აქტიურად ჩაერთო საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

ამისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული სამეფო-სამთავროებიდან რომელი შეძლებდა დაუფლებოდა ყოფილი

დასავლეთ საქართველოს ერთიან „ეგრის-აფხაზეთის“ სამეფოში სახელმწიფო ენად დადგინდა ქართული ენა. თუმცა, „ეგრის-აფხაზეთის“ მეფე დიდებულებს მორალური უფლება და შესაძლებლობაც, იბერიაში (ქართლში) სახელმწიფო ენად მეგრული დაედგინათ და მცხეთის ეკლესია ეგრისის ეკლესიისთვის დაექვემდებარებინათ, ვინაიდან იბერიის (ქართლის) სამეფოს ყოფილი ტერიტორია „ეგრის-აფხაზეთის“ სამეფოს ჰქონდა შემოერთებული, რომელსაც „ეგრის-აფხაზეთის მეფის ერისთავები განაგებდნენ“.

ერთიანი საქართველოს წინარე ეპოქაში (X-XI საუკუნეები) ცნობილი ლაზი დიდებულები, დიდი ერისკაცი იოანე მარუში (მარუშის ძე), იბერიის (ქართლის) ერისთავი, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს გაერთიანებაში

ყოველ შემთხვევაში, ეს იყო უაღრესად მნიშვნელოვანი გადამწყვეტილება. ეტყობა „ეგრის-აფხაზეთის“ მეფე დიდებულებისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, დასავლეთ საქართველოში სახელმწიფო ენა მეგრული იქნებოდა თუ ქართული. მათთვის მთავარი იყო, აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოში ერთი ენა და ერთი ეკლესია ყოფილიყო, ვინაიდან საქართველოს გაერთიანებისთვის ეს აუცილებელი იყო, რაც მათ მაღალ ეროვნულ თვითშეგნებაზე მეტყველებს.

სწორედ აქედან დაიწყო საქართველოს გაერთიანების პროცესი. მართლაც „ეგრის-აფხაზეთის“ მეფე-დიდებულების ინიციატივით, XI საუკუნის დასაწყისში საქართველო გაერთიანდა და ერთიანი საქართველოს პირველი მეფე გახდა „ეგრის-აფხაზეთის“ მეფე ბაგრატ III (978-1014წ.).

მართალია, ბაგრატ III-ს შემკვიდრებოდა ეგვიპტე ეგრის-აფხაზეთი, იბერია (ქართლი), სამხრეთ ქართველთა სამეფო და კახეთ-ჰერეთიც გარკვეულად „ეგრის-აფხაზეთის“ სამეფოს გავლენის ქვეშ იყო, რაც იძლეოდა საფუძველს, საქართველო დინასტიური გზით გაერთიანებულიყო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. იგი თითქმის 30 წელი იბრძოდა საქართველოს გასაერთიანებლად. მთელი ამ ხნის განმავლობაში ბაგრატ III ებრძოდა ქართლის დიდებულებს, იმიერ-ტაოს კურაპალატს დავით III-ს, სამხრეთ ქართველთა მეფეს,

უნდა ვაღიაროთ: ცოტ-ცოტათი ცოდვილი ყველაზე ვართ, მაგრამ არიან ისეთნიც, მიუტევებელი დანაშაული რომ ჩაუდენიათ და პასუხი ამისათვის, ადამიანური წარმოსახვის შესაბამისად, სააქაოში თუ არა, საიქიოში მაინც უნდა აგონ. სამეგრელოში ამქვეყნიური ასეთი მომენტის დადგომას ცოდაში გადაიღება უწოდებენ.

დიდი ყაფაზის დამჭერი, ჭერ-მალაღი და ნათელფანჯრებიანი დარბაზის ერთ კუთხეში მოწყობილი ესტრადიდან, სადაც ამჯერად მხოლოდ მაგნიტოფონი იყო ჩართული, გულშიჩამწვდომი მელიოდიური ჰანგები ატკობდა მოსადილეებს, რომლებსაც ექვს წყებად ჩარიგებული მაგიდები თითქოს ყველგან შეეფსათ... ახ-

გაუბრნყინდებოდა. ხობას, რომ ისმენდა, სახეგაბადრული მონყალე მზერას არ აცილებდა დამლოცველს.

— ყოველთვის ვაჟკაცი იყავი, ივანიჩ, ყმანვილბიჭობაშიც მარბამი უბატონოდ ხმას ვერავინ გაგცემდა. ადრე კი მიატოვე ჩვენი კუთხე, — შუფრფრინებით შემყურე ეუბნებოდა ხმელ-ხმელი მალაღი კაცი, რომელიც სუფრას თამადაობდა.

— მაშინ მიზეზებიც იყო დედაქალაქში წამოსასვლელად, — მელიოტსაც ეტყობოდა, რომ ივანიჩის ბიოგრაფიაში საკმაოდ ერკვეოდა.

— ჰო, რაც მაშინ მოხდა, თქვენ იცით კიდევ. რაღა დასამალია, უკვე 54 წელი გავიდა. არც მინანია წამოსვლა.

— აბა, რატომ ინანებდი, რაც შენ დიდ თანამდებობაზე იმუშავე, რაც შენ ზღაპრული ცხოვრება მოიწყვე, ზოგიერთს არც დაესიზმრება... აღფრთოვანებისგან ცმუკავდა აყლაყულა თამადა.

— არც დღევანდლობას ვემდურნი... შვილები და შვილიშვილებიც კი ცალცალკე დავასახლე, ყველას კარგი პირობები შევუქმენი.

— ჩვენთვისაც კარგი პატივიცაა, ივანიჩ. არც გვაქვს თქვენი საკადრისი სუფრა, მაგრამ ღვთისწყალობით მომავალი წინ არის, —

ჩაშლოდა, მერე ვინ იცის, იქაურ ბოლშევიკებს რა დღეს დააყრიდა. ხმები მოგველიოდა, რომ გვემუქრებოდა... აჯანყების ცაშლის შემდეგაც დაჭრილი დათვივით საშინი იყო. ამიტომაც ჩვენმა ხელისუფლებამ დიდძალი ფული შესთავაზა ყველა იმას, ვინც სამსახურებრივი მოვალეობით თუ საკუთარი ინიციატივით მის ჩაზალღებას შეძლებდა. გვეუბნებოდნენ გონებაგამჭრიახი, მოხერხებული კაცია, ამიტომაც ეგ თანამოაზრეთა გზას უნდა გავეყენოთ. მაშინ ხომ ადვილად გაცილებდით მეამბოხეებს, თუკი დავიჭრდით, ეგრევე ანდერზს აუუგებდით „ასე სჭირდებოდა პროლეტარიატის საქმეს“ — აქ კი თვალის ჩაუკრა ივანიჩმა ყურადღებით მსმენელთ. — მისი გამოჭერა და მოსპობა არ იყო ადვილი. შეილებოდა თავიც წაეგოკაცს, მაგრამ მერე, რომ რაიმეს ჩავიფიქრებ, უკანდახვევა ახლაც არა მჩვევია, თორემ მაშინ ცეცხლი და ელვა ვიყავი, ყველაფერი უფრო მეიოლებოდა. გავიგე ლაუ სადაც დადიოდა და მარტო ჩაუდექი კვალში. ერთხელაც როცა სოფელ ეკში, შინ მივიდა, შორიასლოდან ვადევნებდი თვალყურს. ჭვი არ აუღია, წამოწვა ეზოში და ჩათვლიდა კიდევ. ოჯახის წევრები ალბათ გაფრთხილებულნი იყვნენ, მაგრამ მე დრო ისე სე-ვარჩიე, არავის შევუმჩნევივარ... კატა რომ ჩიტს ეპარება, ისეთი სიფრთხილით შევედი ეზოში და ვესროლე კიდევ... მერე დიდ რუსეთში წავედი და თბილისში, რომ ჩამოვედი გამობრძმედილი ჩეკისტი ვიყავი...

— არაფერი წაგვიგია, ივანიჩ... გენერლობამდე ერთი ნაბიჯიღა დაგარჩა... უთხრა მელიოტმა.

— ვიღას უნდოდა გენერლობა.

— ორდენი ქვირთუა, — ჩამოართვა ხელი ივანიჩმა.

— გუტუა მელაქე! — გაეცნო თამადაც.

— ძალიან საინტერესოა თქვენი გვარის კაცთან შეხვედრა, — დასხდომისთანავე უთხრა ორდენმა შემოსწრებულს. — ბესარიონ ოდილაგაძე თქვენი ხომ არაფერია?

— დიას!

— მამაჩემის გარე ბიძაშვილი იყო... კარგი კაცი ყოფილა მეტად! პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ჩვენს ოჯახში სულ იმის ქება ისმოდა.

— რას მეუბნები! — გაიხარა ორდენმა, — მე ვიცნობდი და ამ სუფრაზეც ვახსენე პატივისცემით.

— საქართველოში კარგად, რომ მივიძ-მოვიძიოთ ყველა ერთმანეთის ნათესავ-მოყვარენი ვართ. — გაიცინა დავითმა. სამივენი ღიმილით დაეთანხმნენ და სუფრა ხალისიანად გააგრძელეს. თეთრწვერამ გამოიკითხა და აღმოჩნდა, რომ ორდენი, სარდიონი და გუტუა ძველი მეგობრები იყვნენ! ამჟამად უკვე პენსიაზე გასულნი სამეურნეო საქმიანობას აგრძელებდნენ... ეტყობოდა, რომ ახლაც საკმაოდ ქაფავდნენ. ეგ ორდენ ივანიჩი თურმე ქალაქის კვების სამმართველოს უფროსი იყო და, როგორც თანამეინახებმა ჩაურთეს, ალბათ თვითონაც ვერ ითვლიდა დიდძალ შემოსავალს, კვების ობიექტებიდან რომ შემოსდიოდა.

— საჭირო კაცი ყოფილხართ მეტად! — ქლესა ღიმილით მიეღებოდა დავითი.

— ბატონო ორდენ, მე გავიგონე, რაღაც საინტერესო ამბავს ჰყვებოდით. მეც ის კაცი ვარ, ოქტომბრის მონაპოვარს მთელი არსებით

ბა შეეძლოს. ჩვენ რუსეთი რომ გვაპატრონობს, იმიტომაცაა ასე გავალღდით, თორემ საკუთარ თავს, რომ ვიყოთ მიწოდებილი, დავიქციოდით წამდვილად, — თქვა და მერე ტუჩის კუთხეში მოქცეული ირონიული ღიმილით გადახედა სუფრასთან მსხდომთ, რომლებიც ხორციანი კერძის ჭამით იყვნენ გართულნი.

— მეც მანდა ვარ! — გაიხარა ორდენმა. — ასე დიდი სამშობლო რომ გვაქვს, ზოგ გონებადაბნეულებს ეგ ვერ შეუფერებათ. ვენაცვალე სტალინის სახელს, იმან იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა! ამიტომაც ვართ ასე ძლიერნი და მალე მსოფლიო კომუნისტებს დაუწოქებს. საქართველოც დიდად მოგებული დარჩება ამ ამბისგან. ჩვენი შევარდენიც, ხომ ხედავთ რა მალაფ აფრინდა, როგორი მაგარი კაცი გამოდგა. უკვე პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატი გახდა. ეგ უფრო შორსაც წავა, არც არავის დაინდობს თავის გზაზე. კარგია თუ გინდა გაიკეთო, არც უნდა... ბოლშევიკები გულჩვილი რომ ვყოფილყავით, ეს 1924 წლის სექტემბერს, როცა ერთ ხალხის მტერს საბჭოთა ხელისუფლების დამოხდა უნდოდა. ამიტომაც პირადად გავუსწორდი... თქვენ მას საიდან იცნობდით? — გამჭოლი მზერით შეათვლიერა ორდენმა თეთრწვერამ მოხუცი.

— აბა, საიდან უნდა მცოდნოდა. სენაკი ჩემი დედუღეთია და იქ გამიგონია ზოგი რამ, — ამას, რომ ამბობდა, თეთრწვერას ოფიცინტმა წინ დაუდო ხარის ბეჭი. ზედ გრძელი სამზარეულოს დანა იყო ჩასობილი. მან დანა ამოაძრო, ბეჭის დაჭრა დაიწყო და საუბრის თემა შეცვალა: მე მინდა თვითონ მოგესახელო, ბავშობიდან მიყვარს ბეჭის დაჭრა და სხვისადმი მირთმევა. თვითონაც კარგა მადაიანად გეახლებით, — ამბობდა და თან თხელ ნაჭრებს არიგებდა. მერე საკუთრივაც დაიღი ერთი ნაჭერი და ჩაკბინა, ლუქმა, რომ გადაყლაპა, სიტყვა სხვებს კვლავ დაასწრო: — ყმანვილბიჭობაში ხშირად ჩავდიოდი თეკლათში... მახსოვრება ჯერ-ჯერობით არ მალალატობს. და როგორც ხალხის ნათქვამიდან მახსოვს, იმ მოხელე-ძალმა ლაუ გუგუნავამ სიკვდილო წინ მოასწრო და ტყვია ესროლა თავდადამსხმელს.

— ასეც იყო! — დაეთანხმა ორდენი, რომელსაც ეტყობოდა, რომ თეთრწვერას ლაზათიანმა მომსახურებამ და საუბარმა მოხიზლა. მან მარჯვენა ფეხზე შარვლის ტოტი აიწია და წვევის კუნთის ფართო, მრგვალი ნაიარევი გამოაჩინა.

— აგაშენა ღმერთმა, მართლა შენ ჩავიდინა ეგ სამადლო საქმე, მაგრამ ხალხში გაგონილს კიდევ მოგახსენებ... როცა მკვლელი ახლოს მოვიდა ლაუსთან და მკერდზე ტყვიები დაახალა, ხოლო შემდეგ სწრაფად გაეცალა იქაურობას, ლაუმ შეძლო წამოწეულიყო და თავქვემოდებული მაშუერიდან ერთადერთი ტყვია გაესროლა. მაშინ ამბობდნენ: მეორეჯერაც რომ მოესწრო სროლა, უთუოდ მოკლავდა, რადგან იგი ნიშანს არ ასცდენოდაო.

— არ ვიცი მერე რას ამბობდნენ, მაგრამ მან კი სინამდვილეში ორი ტყვია ისროლა და მე ერთი მომხვდა. მე მაშინ ის დამიკვირდა, საერთოდ როგორ შეძლო გასროლა, როცა ხუთივე ტყვია გულის მხარეს მივაყარე.

დავითს რაღაც უნდა ეთქვა პასუხად, მაგრამ წერწყვი გადასცდა და ჩაახველა, ხრინისგან ყელი გაინმინდა, მიმოიხედა, თითქოს სიტყვებს ეძებდა და ძლივს იპოვა:

— დაჭრილმა გზა როგორ განაგრძე?

— თავიდან ჭრილობა არც მიგვრძინა, მაგრამ ცოტა ხანში



თამაზ გვიშია

ლაღშებინდებულზე ხალხმრავალი სასტუმროს რესტორანს უკვე შეეკრიბა თავისი კლიენტები თუ საგანგებოდ დროს სატარებლად მოსული თბილისელები.

დარბაზის თითქმის ცენტრალურ ადგილას სამი დროული კაცი შემოსხდომოდა მაგიდას და ტკბილად მოსაუბრენი არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ მაგიდებს შორის გახშირებულ მიმოსვლასა და საერთო ყაყანსს, რაც ასე მათ არც ის შეუმჩნევიათ, როგორც მიუჯდა მახლობელ მაგიდას მათივე თანატოლი, კაფანდარა თეთრწვერა კაცი, რომელმაც უღვინო სადილი შეუკვეთა და ალბათ ამით განანყინებული ოფიცინტისგან კერძის მოტანას კარგა ხანს ელოდებოდა. იგი ძალაუნებურად ყურს უგდებდა სამთა საუბარს. მოხუცები შამპანურს მიირთმევდნენ, სადღეგრძელოების ექსტაზში შესულნი, ფეხზემდგომნი ხმამაღლა ლოცავდნენ ერთმანეთს და ახლა, როცა თეთრწვერამ სენაკი გაიმახვილა, მხოლოდ ივანიჩის ქება გაისმოდა, ალბათ მისი სადღეგრძელოს რიგი მოსულიყო. ეუბნებოდნენ: — არაჩვეულებრივი გასაოცარი კაცი ხარო. რაც შენ გავიკეთებია, ბარე ორი ვერ დაიკვებინის საქართველოშიო. ივანიჩმა მადლობის ნიშნად მძიმედ დაუკრა თავი თანამეინახეებს. მას ცეცვა მონაცრისფერო ფართო ზოლებიანი, ძვირფასი ვეროპული კოსტიუმი, საყელომოდიავებულ თეთრ პერანგზე ეკეთა მონითალო მზინიანი ჰალსტუხი და მიუხედავად იმისა, რომ ასაკით სამოცდაათი წელს გადაცილებული იქნებოდა, ძალზედ მხნედ და ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. ჭალარაშერეულ მომწვილდულ წარბებსა და შეჭმუჭვნილ შუბლზე ეტყობოდა, რომ ძალაუფლების მოყვარული იყო, მუცელზე ლაღაბა და ხელზე კი თუ რაიგი კარგი ცხოვრება გამოეარა. როცა იღიმებოდა, ბაგეზე რამდენიმე ოქროს კბილიც

სტალინის პატივსაცემი

კვლავაც აშკარად ემოქმენებოდა თამადა.

— დიას, კაცს ღვთისწყალობის იმედი უნდა გქონდეს. ამ სიბერეში მოვინათლე კიდევ. მოგესხენებათ უკვე ეს მოდამი შემოდის, ცეკას მდივნიც კი ინათლებიან და არც მე ჩამოვრჩი. იცით, რა მითხრა მღვდელმა?! ყველა ცოდვა მოგესხნა, რაც კი ჩავიდინაო! ხა...ხა...ხა... — გადინახარა ივანიჩმა და მძიმე სხეულით სკამის საზურგეს გადაანვა. თუმცა, ან კი რა ცოდვებზე უნდა იყოს ლაპარაკი?! ძმებო ცხოვრება მკაცრია, როცა მოქმედება მოგთხოვს, მეგობარსაც უნდა გადაუარო, თორემ მონინაღმდეგე, რომ უნდა მოსპო და გაანადგურო, ამას რა დიდი დასტური სჭირდება. დაინდობ და მერე იგი დავასწრებს... მე თავიდანვე ვიცოდი ეს, მაშინაც კი, როცა 19 წლის ვიყავი... რკინას გავკენეტდი, კედელში თავით გავიდოდი, სიცოცხლე მიხაროდა, ცხოვრება მწყროდა, არაფრის საშუალება კი არ მქონდა. ჰოდა, ღმერთმა გადომოგდა, ჩვენს კუთხეში ცნობილი ჩეკისტი ოდილაგაძე დედაჩემთან დაახლოებული პირი იყო და ჩვენს ოჯახში დამოივლიდა ხოლმე. ნათელი დაადგეს, მან მიმიყვანა სპეცგანყოფილებაში, სადაც მისივე რეკომენდაციით სწრაფად მიმიღეს ბოლშევიკურ პარტიაში, მომცეს იარაღი, რომელიც საჭიროებისამებრ უნდა მეტარებინა მალულად. ჰოდა დავინყე მეც ნამდვილი საქმე. სწორედ მაშინ ისევ რომ წამოყვეს თავი მენშევიკებმა. მათი ერთ-ერთი ძლიერი ხელმძღვანელი ლალუ გუგუნავა ბრძანდებოდა, — ჩახიხითხითა ივანიჩმა, — მან მარბის თითქმის ნახევარი მოსახლეობა ფეხზე დააყენა და განაზრახი, რომ არ

მათვარია, ისე იცხოვრო, რომ გულისნადილი აისრულო. ჩემი წილი არაფერი დამიკლია. ჯერაც გული მერჩიეს... ქალბებიც კი წარმატებუნი მაქვს, — გაიცინა ივანიჩმა, გაიხიზრა, თვლები მონკურა და წაიღვინა-წაუღვინა: „ვისაც მოუკლავს, ის მოკლავს ირემსა ქორბუდიანსა...“ თანამეინახენიც აყვნენ. მათ სიმღერა შეანყვებოთა ოფიცინტმა, რომელმაც 4 ბითანი შამპანური მოიტანა.

— ეს, აი, ამ მაგიდიდან — განმარტობით მჯდომი თეთრწვერა მოხუცისაკენ თავი გადააქნია ოფიცინტმა.

— დიდი მადლობა, ბატონო! — თავაზიანად წამოდგა თამადა.

— არაფრის! — თავი დაუკრა თეთრწვერა მოხუცმაც, — ისე ტკბილად საუბრობთ, რომ შემშურდა. ხომ მოგესხენებათ: მარტო კაცი ჭამაშიც ბრალიაო.

— მობრძანდით ჩვენთან! — შემოიპატიჟა ივანიჩმა.

— არა, ბატონებო, განა იმიტომ... ეს მხოლოდ კეთილი გუილტ მოგართვით, ისიამოვნეთ.

— არა, ეგ არ გამოვა, უთუოდ უნდა მობრძანდეთ, — გამოიღო თავი თამადა. თეთრწვერასაც მეტი თავაპატივია აღარ დასჭირდა, წამოავლო ხელი თავის ბიჭუქსა და ღიმილნათს, ჭიქა და სხვა რამეები ოფიცინტმა წამოუღო და ივანიჩის გვერდით მოიკალათა. შამპანური ჭიქა, რომ შეუვსეს, ფეხზე წამომდგარმა ადღეგრძელა სამივენი, განსაკუთრებით ხაზგასმით კი — ივანიჩი, როგორც მის სადღეგრძელოზე შემოსწრებულმა. სასმისი დასცალა და განაცხადა:

— მე დავით ოდილაგაძე გახლავართ.

ახლა კი სიამოვნებით წამოდგნენ.

რომ იცავდა. მენშევიკებთან მეც მქონდა ჩემი ანგარიშები.

— რა ანგარიშები? — ჰკითხა ორდენმა.

— მათი მმართველობის წლებში მამაჩემის ოჯახი აანოკეს, გაძარცვეს, 1924 წელს კი სიები ჰქონდათ, ვინ დაეხვრიტათ და მეც ჩაუწუნებოდათ, რადგან შინაგან საქმეთა ორგანოებთან ვთანამშრომლობდი.

— რისი გამკეთებლები იყვნენ... ვერც კი გაფხაკუნდნენ, ისე მოვულეთ ბოლო, — ჩახიხითხითა ორდენმა. — მეც, რომ მტრობდნენ, იმიტომ მივაგე... სენაკში იმან ლიდერს ვინმე გუგუნავას ვეცი პატივი... ორდენმა ხელის მკვეთრი მოძრაობით მიანიშნა, რომ იმ გუგუნავას სიცოცხლე მოუსწრაფა.

დავითმა თვლები მონკურა და წვერებზე ხელი ჩამოისვა. ამ დროს იქვე გამვლელი ოფიცინტი შენიშნა, მოიხიზო და ყურში რალაც უწერჩულა.

— რა ხდება?! — წარბი შეიკრა თამადაც.

— არ მიწყინოთ! — ხელები გაშალა დავითმა — მე მსურს, ჩემებური წვლილი შემოვიტანო... მაქვს და ორი კაპიკი, რომ დავზარჯო ამისთვის აღარ დაგეინანოთ.

— განა ჩვენ კი პროლეტარები ვართ?! ნუ გვაკადრებ ასეთ რამეს! ჩემია ეგ სუფრა! — ვითომაც იწყინა თამადაც, მაგრამ მაშინვე ჩაჩუმდა და აშკარად გამოჩნდა, რომ მისი პროტესტი ფორმალურიღა იყო.

— ის გუგუნავა მეც მახსენდება, — განწყვეტილი საუბრის ძაფი განასკვა დავითმა, — ოხერი ვინმე იყო, დამოუკიდებლობაო გაიძახოდა, თითქოს საქართველოს დამოუკიდებლად არსებო-

დავითს რაღაც უნდა ეთქვა პასუხად, მაგრამ წერწყვი გადასცდა და ჩაახველა, ხრინისგან ყელი გაინმინდა, მიმოიხედა, თითქოს სიტყვებს ეძებდა და ძლივს იპოვა:

— დაჭრილმა გზა როგორ განაგრძე?

— თავიდან ჭრილობა არც მიგვრძინა, მაგრამ ცოტა ხანში



ბესარიონ გაბაშვილი 260

სეკის ზღს უკელ

სეკის ზღს შეველ შენაღონები: მოკრეფად მსურდა ვარდის კონები. ვარდმან შემრისხა თავმომწონები, ისარი მსტყორცნა დასამონები, სრულად მიმილო ყოვლი ღონები, მითხრა: „იფიქრე გულს ნაქონები, მისთვის იქმნები დასაყოვნები, ვერ მივხვდი მახვილგანანონები, მისთვის შევიქმენ ცრემლთა ფონები. იასა ვკითხე (მუნ იდგა ნაზი): „ვარდსა რად უქმენ კართა სარაზი?“ ამაყად მწყრალი ვნახე ლამაზი.

მანცა განმადლო: „გარეგან გაზი! შენგან გეჩნია გულეზსა ხაზი. სიხარულიდამ დაბლა კერძ დაზი! შენს გულსა ჰკითხე მიაპყარ გაზი! შენის გონებით იქნები რაზი: ჩვენ დაგვთმო და სხვას ემონები!“ რა ია გამიწყრა, ნარგიზს მიემართვე, სისხლის ცრემლითა სიტყვანი დავრთვე, ვუუბნებოდი: „შენ წარმიმართე ინროს გზის პოვნად, — გზები გაქვს ფართე, ჩემსა ნუგეშსა ხელი შემართე, ვარდს მამუდარე, ალერსი ჩართე, შავ გულსა ლხინი შენ მოუსართე! შემომითვალოს: რა უკულმართე? რად მომიგონა მოუგონები?“ ნარგიზი ვნახე შებრალებითა, ცრემლსა ცვარვიდა მორიდებითა მითხრა: „ყარბო!“ — მონაზებითა — „ვარდი მით არის გულდაკლებითა, რომ შენი იყო თავდადებითა, თავი მოსწონდა, ჰყვანდი ნებითა, შენ რისთვის დასთმე სხვისა ხლებითა? რად გიკვირს, გასწყდეს ცეცხლმოდებითა? ნაცვლი მოგვხვდა დანახსოვნები!“ ბალის კარს დავჯექე შენაძალები, ცრემლით აღმეცხენ მწირი თვალები, ვიყავ ბედისა დამაბრალები. ვინცა მნახვიდნენ დამაშვრალეები, შეიქმნებოდნენ ჭირნაკრძალები, მეც მომხვდა სოფლის მჭრელი ბრჭყალები: ბესიკი სიკვიდის არ ვემძალები, თავი მაქვს მისთვის შენანონები.

აწწივის მართვე

(პატარა ნიკოლოზს)

ორი წლის გახდი! — ფრთიანდები, ვაჟუკაცის ძეო, მაგრამ ვაი, ამ მზიანეთში მზე, რომ არ მზეობს! და იცი, რატომ?.. — სისხლს უშრობენ სისხლით მთვრალეები, შენს ლამაზ მამულს, — დღისით, მზისით ნაძირალეები! დაისი აკრავს მამის საფლავს მენამულ ფერად, აღარ სცილდება ლამაზ სურათს ეს შენი მზერაც! დრო უქეთერი, დიდ სიხარულს, ვნაღლო, რომ გართმევს, შენც გაეზრდები ტანჯულ მამულს, არნივის მართვე! დაეჟაკადები! — მნამს და მჯერა, ყველას იმედად, დრო მერე გეტყვის, მამაშენი ვინც გაიმეტა! შენს ნიჭ-გონებას მოკეთენი როცა „დაზვერენ“, მამის სადარი ყოფილაო! — იტყვიან მერე! ერთი იმედით, მხოლოდ ერთით, მე შენ ხელს გართმევ: მზის სინათლისკენ გაიჭრები, არნივის მართვე!

პალარი ქაპაშია
მარტი, 2010წ.



ნიკოლოზ მებონია

2 ბაგრატ II-ს (თავის ბაბუას) და ამ ბრძოლაში მისი ერთადერთი დასაყრდენი ძალა იყვნენ მეგრული დიდებულები, მეგრული ხალხი. მათ შორის აფხაზები, ლაზები და მარგველები. ერთიანი საქართველოს ეპოქა (X-XVსს.) იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა საქართველოს ისტორიაში, როდესაც საქართველომ მიაღწია გამორჩეულ სიძლიერეს, გატარდა მთელი რიგი პოლიტიკურ-სოციალური რეფორმები, ინტენსიურად წარიმართა ერთიანი ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესი, ერთიან ქვეყანას ეწოდა „საქართველო“ და მის მოსახლეობას — „ქართველები“.

თობო ენის დონეზე, მაგრამ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თითქმის უცვლელადაა შემორჩენილი წარმოუდგენლად უმდიდრესი ლექსიკური ფონდით და ფოლკლორით. სხვათაშორის მეგრული ენის არსებობას არასდროს შეუქმნია სირთულეები ქართული ენისათვის. სამეგრელო-აფხაზეთში წირვა-ლოცვა, საქმის წარმოება, სწავლება, ყოველთვის ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, რაც სრულიად კანონზომიერი მოვლენა იყო. მხოლოდ ეს იყო, რომ იყო სიტუაციები, როდესაც გარკვეული ძალები, საქართველოში ურთიერთდაპირისპირების გასაღვიძებლად, მეგრული ენის ფაქტორს იყენებდნენ. 1850 წელს რუსეთის იმპერიის პატრი-

მეგრულად, გამოვიდა მეგრული დედა ენა „ჭითა ჩხორია“ („წითელი სხივი“), გამოდიოდა მეგრული გაზეთი „ყაზახიში გაზეთი“, მეგრულად ითარგმნა გარკვეული პარტიული დოკუმენტები და ა.შ. რასაც მეგრული კომუნისტები იმით ამართლებდნენ, რომ ეს აუცილებელი იყო კომუნისტური იდეოლოგიის რიგით მეგრელებამდე დასაყვანად. შესაძლებელია, ამაში გარკვეულ როლს თამაშობდნენ სამეგრელოს ავტონომიზაციის მომხრეები, რომლებიც სეპარატისტებად იყვნენ ცნობილი, მაგრამ როგორც ზემოთ ავლინებთ, მათი იდეა მიუღებელი აღმოჩნდა მეგრული ინტელიგენციისათვის, ხოლო ლავრენტი ბერიამ საბოლოოდ დაუსვა წერტილი ამ მკრეხელურ ჩანაფიქრს.

კოლხები — ქართველების წინაპრები

ერთიანება, ძირითადად, მეგრული დიდებულებისა და მეგრული ხალხის დამსახურება იყო, იმ გადამწყვეტილებას, რომ ერთიან ქვეყანას „საქართველო“ დარქმეოდა, მათში არავითარი უარყოფითი რეაქცია არ გამოუჩნდებია, ვინაიდან ეგრისის სამეფოში თითქმის ტრადიციულად იყო ქცეული, რომ სამეფოს სახელი ხდებოდა იმ რეგიონის სახელი, საიდანაც მეფე იყო. სწორედ იმან, რომ ბაგრატ III ბაგრატიონი იყო სამხრეთ ქართველთა სამეფო დინასტიის, ბაგრატიონების წარმომადგენელი, განაპირობა ამ ზოგად ეროვნული ცნებების დაკანონება. ლოგიკურია, ერთიან საქართველოში გატარებულ რეფორმებში, ალბათ, ისიც იქნებოდა გათვალისწინებული, რომ მეგრული ენა ჩანაცვლებულიყო ქართული ენით, როგორც ეს მოხდა ყოფილი ეგრისის სამეფოს ტერიტორიაზე XII-XV საუკუნეებში წარმოჩენილ რეგიონებში — იმერეთში, გურიაში, რაჭაში და აჭარაში, მაგრამ ეს პროცესი ვერ დასრულდა, ვინაიდან საქართველო ისევ დაიშალა სამეფო-სამთავროებად და მეგრული ენა შემორჩა სამეგრელო-აფხაზეთში, საურთიერთობო ენის სტატუსით. ვერ გეტყვით, ამაზე სხვები რა აზრის არიან, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ეს აუცილებელიც კი იყო, ვინაიდან სწორედ მეგრული ენა იძლევა შანსს, მეტ-ნაკლებად აღსდგეს ჩვენი ქვეყნის შორეული წარსული. მართალია, მეგრულ ენას, 1000 წელზე მეტია, სახელმწიფო ენის სტატუსი არა აქვს, ფაქტობრივად ფუნქცია დაკარგა და მხოლოდ სამეგრელო-აფხაზეთში დარჩა საურთიერ-

არქვა გამოსცა ბრძანებულება, რითაც ის, მეგრელებსა და გურულებს, ქართულად წირვა-ლოცვას უკრძალავდა, როგორც არაქართველებს. აშკარაა, რომ იმ ეპოქაში გურიაც მეგრულად მეტყველებდა. იმ ეპოქის რუსი მოხელეები, მართლაც ცდილობდნენ სამეგრელოში არა მარტო წირვა-ლოცვა აეკრძალათ ქართულად, არამედ საქმის წარმოება და სწავლება ყოფილიყო მეგრულ ენაზე, მაგრამ ქართველთა საზოგადოებამ და მეგრელებმა მხარი არ დაუჭირეს ამ დემაგოგიას, რის გამოც რუსებმა ჩანაფიქრი ვერ განახორციელეს. მართალია, ეს იდეა რუსებს ეკუთვნოდათ, მაგრამ რატომღაც საზოგადოებისთვის ასეა ცნობილი, თითქმის ამაში გარკვეული როლი შეასრულა მეგრულმა სეპარატისტებმა. შესაძლებელია, ეს გამოწვეული იყოს იმით, რომ სასკოლო სასხელმძღვანელოში ენერა, თითქოს რუსებმა მხოლოდ მეგრელებს აუკრძალა წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე. არადა, მასში რომ ნათქვამი ყოფილიყო, რომ რუსებმა გურულებსაც აუკრძალეს ქართულად წირვა-ლოცვა, ამ მოვლენას რუსული პოლიტიკით ახსნიდნენ და გამოირიცხებოდა მეგრული სეპარატისტების ფაქტორი. ვფიქრობ, მოღვაწემ, რომელმაც წინაშე გურულები არ ახსენა, დიდი შეცდომა დაუშვა. სხვათა შორის კომუნისტური ეპოქის საწყის ეტაპზეც იყო მეგრული ენის ფაქტორის გამოყენების მცდელობა. მართლაც, XX საუკუნის 20-30 — იან წლებში რიგი ნაწარმოებები ითარგმნა

ამ მოვლენების შემდეგ, ფაქტობრივად, აიკრძალა მეგრულ ენაზე რაიმე წიგნების გამოცემა, ნაწარმოებების გამოქვეყნება, საერო და საეკლესიო ლიტერატურის თარგმნა, გაზეთის გამოშვება და ა.შ. მაგრამ, 60-იანი წლებიდან, რაც კომუნისტური რეჟიმი შედარებით ლიბერალი გახდა, მით უმეტეს, დამოუკიდებელ საქართველოს ეპოქაში, თითქმის ყოველგვარი შეზღუდვები მოიხსნა. გასული საუკუნის 80-იან წლებში ისევ გამოვიდა იოსებ ყიფშიძის „მეგრული (იბერიული) ენის გრამატიკა“, ახლახან გამოიცა ცნობილი მეცნიერის ოთარ ქაჯაიას „მეგრულ-ქართული ლექსიკონი“, წლების განმავლობაში გამოდიოდა ჟურნალი „აია“, აქა-იქ გამოვიდა გაზეთები მეგრულ ენაზე, გამოიცა ცნობილი პოეტების ლაშა გახარაის, ვახტანგ ხარჩილავას, გური ოტობაიას ლექსების კრებულები, მაგრამ ყოველივე ამას არავითარი სეპარატისტების გაღვივება არ გამოუჩნევია და თუ ვინმეს ჰგონია, რომ ბიზნისი მეგრულ ენაზე ითარგმნა ამის საშიშროებას შექმნის, დამერწმუნეთ ეს მის პოლიტიკურ უფიცობაზე მეტყველებს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ერთმნიშვნელოვნად ითქვას, რომ მეგრული ენა, ფაქტობრივად, პროტოქართული ენაა, რომელიც საფუძვლად დაედო ქართულ ენას. უფრო მეტი, შეიძლება მეგრულ ენას ოფიციალურად ეწოდოს ძველი ქართული ენა. ამდენად, კლასიკურ, საოცრად რაციონალურ და სრულყოფილ ენასთან ერთად, ქართულ სინამდვილეში მეგრული ენის, ფაქტობრივად, უძველესი ქართული ენის არსებობამ, გამორიცხულია, ევროკონვენციას მისცეს საფუძველი, მეგრები ეთნიკურ უმცირესობად მიიჩნიოს.

ცოცხალი დედა

3 მოძრაობა გამიჭირდა, მხოლოდ სხვათა დახმარებით შევჯექი ცხენზე, რომელმაც სამშვიდობოს გამიყვანა, მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს, უცებ გალიზიანდა ორდენი და სახე შეიჭმუჭნა. — შევეშვათ, კაცო! — ჩაურთო მელოტმა. — სადღეგრძელო გველოდება, — შამპანურით სახეე ქიქა წამოწია თამადა. — მხოლოდ ერთი რამ, ბატონო ივანიჩ და მერე გუგუნავს სულაც ნუ ვახსენებთ... როგორც ვიცი, ლაუს ძმები ჰყავდა და ისინი მკვლელს ეძებდნენ... სადმე ხომ არ გადააპყრისხართ რომელიმეს? — ერთი იმათიც... — შევიგინა ორდენმა, — მათ ვერც გაიგეს, მკვლელი ვინ იყო, რომც გაეგოთ, რა ფეხები მომჭამდნენ... რუსეთიდან, რომ ჩამოვდი, მერე იმ ძმების შესახებ არაფერი მსმენია. მალე ეს ამბავი ყველამ მიივინყა... ავნიოთ სასმისი! თამადას სიტყვების დაწყება სურდა, მაგრამ ამ დროს ესტრადაზე მომღერლები გამოჩნდნენ. ისინი გამაყრუებლად მღეროდნენ მიკროფონში და თან მთელი სხეულით როკავდნენ. თავდავიწყებით აცეკვდნენ წყვილებიც. ახლა ოთხივენი ამ სანახაობას ადევნებდნენ თვალყურს. დარბაზში სიცოცხლე ჩქეფდა, ხალხი მატულობდა, აქეთ-იით გაისმოდა სადღეგრძელოები, ჭიქების წკარუნნი, დავითი კი თითქოს ერთი უცებ მოეშვა, სკამის საზურგეს გადაანვა და ცოტა ხანს ასე იყო, ამღვრეული მზერით ათვალისწინებდა დარბაზს, მერე ისევ ბეჭი დაითრია და დანის ცხიმინი პირი ზედ დაანმინდა, თან ერთი თხელი ნაჭერიც ჩამოათალა და როგორც კი მუსიკა ჩაწყნარდა, სკამიდან წამოხეულმა მიაწოდა ორდენს: — ნებეთ! ორდენმა დანის წვერზე წამოცმული ხორცი თეფშზე გადმოიღო. მად... — სიტყვა ვეღარ დაამთავრა, რადგან მთელი ძალით ამოქნეული დანა თეთრ პერანგზე, მარცხენა ძუძუსთან მოხვდა და შეძრწუნებული თანამეინახეების თვალწინ ფოლადის წვერმა პიჯაკის მეორე მხარეს გააღწია. — ასეთ რამეს ვერ ივინყებენ! საიქიოშიც გახსოვდეს, რომ მე ლაუს ძმა ვარ! ხუნტუ გუგუნავა! მაშინ ვერ გავუფრთხილდი ლაუს, მაგრამ მის ცხედართან წარმოთქმული იცი და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა წინაშე დადებული აღთქმა დღეს შევასრულე! — მთელი ძალით გაჰყვიროდა კაფანდარა მოხუცი. მან თვალეზამოღამებულ, ადგილზევე გახვევებულ ორდენს დანა მკერდში შეატოვა, ერთბაშად აკივლებულ და მერე გასუსულ დარბაზში მტკიცე ნაბიჯით გაიარა და იქვე, რესტორნის შესასავლელთან მდებარე მილიციის სამორიგეო ოთახში შევიდა.

* * *

მეორე დღეს, 1978 წლის 30 ნოემბერს, ქალაქში ბევრგან ამ მკვლელობის წერილმანსაც ანალიზებდნენ და მკვლელს ნაკლებად თუ ამტყუნებდა ვინმე, მაგრამ ეს საქმე თავიდანვე მოექცა ოფიციალური აზრის მარწმუნებში. საბჭოთა იმპერიის წინაშე დამსახურების მქონე ყოფილი ჩეკისტის მკვლელს უმკაცრესად დასჯიანო, ამბობდნენ და ვარაუდი არც გამტყუნებიათ. გუგუნეების ოჯახის ბევრნარი პროტესტისა და მრავალ ინსტანციამი გასაჩივრების მიუხედავად, ძიება და სასამართლოები საქართველოს კომპარტიის ყოველშემძლე ცეკას კონტროლით წარიმართა — ორდენ ქვითუას მკვლელის დახვერტის განაჩენი ძალაში დარჩა.



გვანცა კოპლატაძე

ბით გადმოცემული მთელი კოდექსი შექმნა, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, ვისთვის შეიძლება ხალხს კარგი ყმა ეწოდებინა:

„მაშინ კარგია კაი ყმა, რა დილა ბინდით დგებოდეს, იცვამდეს გრილსა რკინასა, „ომს ვიქამ“ — ემზადებოდეს.“ შეგნება იმისა, რომ შეიძლება და სოფელ-ქვეყანას ყოველ წუთს დასჭირვებოდა, კაი ყმას ბრძოლისათვის მუდმივად

ენაზე მოსულს სიტყვასა, განა სუყველას თქმა უნდა? მით უმეტეს არ კადრულობენ ისინი საკუთარ საგმირო საქმეებზე ლაპარაკს და სხვათა დამცირების ხარჯზე მათით თავის მოწონებას:

„კაი ყმა მაშიც კარგია, ომშივით ამაღიოდეს, არ იკვეხოდეს ბიჭობას, ცოტა უქმობას ჩიოდეს.“ კაი ყმის სიცოცხლე ჩვეულებრივ ბრძოლის ველზე მთავრდება, მეთავისე ლაჩრებისა კი — ბოსლის ყურეში, „ქალებთან ლოგინობისას.“ სანუგეშო ის იყო, რო ხალხს მათი გარჩევა არ ემღებოდა: კაი ყმას სიყვარულითა და პატივისცემით სიცოცხლეშივე აჯილდოებდა, ხოლო სიკვდილის შემდეგ მის სახელს კიდევ უფრო მეტი დიდებით მოსავდა, მაშინ, როცა ლაჩარი

ცებზე, მამაკაცებზე.“ მაგრამ მამულის დაცვის საქმეში არანაკლები წვლილი მიუძღვით ქალებსაც. ლაჩარი და მხდალი მათი საქილიკო ობიექტი ხდებოდა და შეიძლებოდა უცოლოდაც კი დარჩენილიყო, რადგან მასთან ერთად ულლის განწევას არცერთი ღირსეული ქალი არ თანხმდებოდა. ვაჟკაცები რომლებიც საკუთარი მინა-წყლის, ოჯახისა და მისი ღირსების დაცვისათვის სიცოცხლეს წირავდნენ, ქალების პატივისცემასა და აღფრთოვანებას იმსახურებდნენ და პირიქით, მშობარნი და მორალატენი მათ დაცინვასა და გაკიცხვისთვის მასალას უზვად აზღვევდნენ. ისევე ვაჟა-ფშაველას მოუხსინოთ: „მათი გამამხნეველები ბრძოლაში დედაკაცი იყო. დიაცთა

მარჯვედ. სახელის მოყვარული ხარჩილა არათუ ხევესურეთში ქისტების თარეში აღუკვეთია, არამედ ისე დაუშინებია ისინი, რომ ყოველ სოფელს, მისთვის ბეგარად თითო ცხვარი და თიკანი უძღვევია. ქისტებს შეწირული ბეგარა თვითონვე უნდა მიეტანათ და იმ ხატში დაეკლათ, სადაც ხირჩლას გვარი ლოცულობდა.

ხირჩლას მოშურენი თანამემამულეთა შორისაც ყოლია, რომელიც მას თურმე აყვედრიდნენ, რომ სახელი კარგი ცხენის წყალობით ჰქონდა მოპოვებული:

„ხირჩლავ, გაძრახვენი ხევესურნი: ლურჯამ აქნივა სახელი.“ — ახლა თქვენ მოგცემთ ლურჯასა, თუ ადვილია საქნელი.“

„გატეხილისა ვაჟისა ყორანმა ლეში არ ჭამა.“

ჩვენმა წინაპრებმა სამშობლოს ფასი კარგად იცოდნენ, იცოდნენ, რა ძვირფას საუნჯეს წარმოადგენს იგი ყველასთვის, ვისაც ამ სამყაროში თავისი ვინაობისა და სამკვიდრების შენარჩუნება სურს და ამიტომ მის წარმეგვას სხვებისთვის არც მაშინ ცდილობდნენ, როცა ამისთვის ძალ-ლოცვით შესწევდათ და შესაფერისი ჟამიც უდგებოდათ. კაცთა ზნეობის ქვაკუთხედი — ნუ გაუკეთებ სხვას იმას, რაც არ გინდა რომ შენ გაგიკეთონ, — ამ შემთხვევაში მათთვის განყენებულ მცნებას კი არა, ხასიათის ბუნებრივ თვისებას შეადგენდა, ამიტომაც სრულიად დამაჯერებლად ჟღერს ქართველი მხედრის სიტყვები, რომელიც მას პოეტმა ათქმევინა:

„სამშობლოს არვის ნავართმევთ, ნურც ნურვინ შეგვეცილება.“

სამწუხაროდ, ჩვენი დიდი თუ მცირერიცხოვანი მეზობლები ასე არ ფიქრობდნენ და თვალის სულ იმაზე ეჭირათ, რა გზითა და ხერხებით მიეტაცებინათ ჩვენი მიწა — წყალი და კულტურა, როგორ გადაეგვარებინათ სულიერად და ხორციელად და როგორ გაექროთ კაცობრიობის ისტორიაში ჩვენი სახელი. ჩვენ ხომ მატერიალურ სამყაროში ვცხოვრობთ, სადაც სამართალი უმეტესწილად ძალადობას ემყარება, რომლის უხეში ნაბიჯის ქვეშ, როგორც ერთმა ქართველმა პოეტმა შესანიშნავად თქვა, უწყალოდ ითვლება და ჭკნება სიმართლის ნაზი და მშვენიერი ყვაილები. ჩვენმა წინაპრებმა ესეც კარგად უწყოდნენ და ამიტომ სამშობლოსა და შენარჩუნებისათვის მხოლოდ ღმერთის შემწეობისა და საკუთარი თავის იმედით იბრძოდნენ. ამ კეთილშობილურ ბრძოლაში გამოიწვეოთ ჩვენი ხალხის ზნეობა და ხასიათი, გაიგივდა სარწმუნოება და ეროვნულობა და ჩამოყალიბდა იდეალური გმირისა — კაი ყმისა, რომელიც მათ დაცვას, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად, თავის მოვალეობად თვლიდა. იგულისხმებოდა, რომ კარგი ყმა მრავალი სათნოებით უნდა ყოფილიყო შემკული, რადგან უზნეო კაცი, ჩვეულებრივ მამულისა და სარწმუნოებისთვის, თავის დადებას ვერ შეძლებს.

საუკუნეთა განმავლობაში ჩვენმა ხალხმა ვაჟკაცობისა და გმირობის პოეტურად დახვეწილი, სხარტი აფორიზმე-

მაშინ კარგია კაი ყმა

მზადყოფნისა და იარაღის განუყრელად ტარებას აიძულებდა:

„ნისლი ძესა ლეზაისკარსა სუ მუდამ აუყრელადა, აბამას ტანზე ჯაჭვს სცვავა, სუ მუდამ აუყრელადა.“

მამულის დამცველებისთვის გული ვერც მტრის მრავალფეროვნებას უნდა გაეტეხა: „ნუ გაუტყდები, მოყმეო, გაბვერებასა მტრისასა“ და ვერც მათგან ნანსნევ დამარცხებას:

„ჯავრო, არ მოგცემ ნებასა, გულო, არ დაგაშავებო, მტერო, არ შეგეპუები, ხმალო შენ გააფხავებო.“

ადამიანურისისუსტიცგამომჟღავნების უფლებას ისინი თავს მაშინაც არ აძლევდნენ, როცა სიმრავლით გათავსებულ მტრებთან უთანასწორო ბრძოლაში ქვეყნის საუკეთესო შვილების ამოწყვეტას საკუთარი თვალთ უყურებდნენ და დაჯანბნილი და დაბეჩავებული მამულის ცქერა გულს უწუხებდათ. პირიქით, კარგ ყმებს ამ დროს ბრძოლის წყურვილი ეძალეობდათ, რათა თანამებრძოლთა თავდადება ამო არ გამხდარიყო და მათი წმინდა საფლავები უცხო ჯიშის მოძალადეთა ფეხქვეშ სათელი არ გამხდარიყო:

„მტერო, დამჩაგრე, არ ვჩივი, ჩივილი დიაცთ ნესია, ბევრჯერ ვყოფილვარ ამ დღეში, მაგრამ არ დამიკვნესია, სულ ერთად მოგამკვივნო, რაც ჩვენზე დაგითესია.“

კარგი ყმის საზრუნავი დღენი-ადაგ საკუთარი მიწა-წყლისა და ხალხის დაცვა იყო, ამიტომ მისი ფიქრებიც მუდამ მოსალოდნელი ბრძოლისკენ იყო მიმართული, განსხვავებით ცუდებისგან, რომელნიც მხოლოდ ამაოებას იყენებდნენ:

„კაი ყმა ხმალსა ჩახედავს, ნეტარ, გამიჭრის თუ არა? ცუდაი — ქალის უბესა, ნეტავ შამიხვევს თუ არა?“

ნამდვილმა ვაჟკაცმა სიტყვის მნიშვნელობაცა და ფასიც კარგად იცოდნენ: ამიტომ მისი წარმოთქმისას განსაკუთრებით ფრთხილობდნენ და, ბუნებრივია, არც ის ემღებოდათ, სად და როგორ ელაპარაკათ:

„შავს ლუღსა, ნითელს ლეინოსა, განა სწორსწორად სმა უნდა?“

და მოლაღატე სიცოცხლეშივე დაინწყებული ჰყავდა და მხოლოდ იმისთვის თუ გაიხსენებდა, რომ გაენკებლა და თავისი უარყოფითი დამოკიდებულება გამოეხატა:

„ატირდა კაი ყმის ცოლი, აღარ მომივა შინაო, იცინის ცუდაის ცოლი გამაიქცევა შინაო, გამაქცეულის მახვილსა არ მასვლია სჯობს შინაო.“

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სოფელი, მაინც სოფელია, სადაც სიმამაცემ და ვაჟკაცობამ, ისევე როგორც სხვა სათნოებებმა, არ შეიძლება შური არ აღძრას, — ეს საშინელი გრძნობა, რმელმაც კენის საკუთარი ძმა, აბელი მოაკვლევინა:

„კარგ ყმასა სურობს სოფელი, იტყვიან კარგი რად არი? საქმე რომ გაუჭირდება, ყველა იბარებს: სად არი?“ „კა ყმა არ უნდა სოფელთა, როს მოკვდას — მოღგონდებისა...“

კაი ყმას იარაღის ოსტატურად ხმარება ალამაზებდა და არა წარმოსადგეობა და მოხდენილი მიხვრა-მოხვრა, — „ბანებზე მიდგომ-მოდგომა“.

„ვაჟკაცს რას გამოადგების სოფელთ შევენება ტანისა, ბანებზე მიდგომ-მოდგომა, გამჩვენეობა ქალისა? ხმალს უნდა აჭრევიწებდეს, იმედი ქონდეს ხვალისა.“

XVII-XVIII საუკუნეებში ჩვენი ქვეყნის არსებობას სამხრეთ-აღმოსავლეთით მცხოვრებ მრავალრიცხოვან ხალხებზე არანაკლები საფრთხე შეუქმნეს ჩრდილოეთ კავკასიის მკვიდრმა ტომებმა, ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვრების დაცვა უკვე ნაკლებ ძალისხმევას როდი მოითხოვდა, ვიდრე სამხრეთ-აღმოსავლეთისა. „ნაპირის ადგილას“ — საზღვრებთან მცხოვრებ თუშ-ფშავ-ხევესურებს თუ მოხვევ-მთიულებს ლეკებისა და ქისტების თითქმის ყოველდღიური თარეშისგან მოსვენება ჰქონდათ დაკარგული. მომხდურები ანიოკებდნენ სოფლებს, იტაცებდნენ ადამიანებს, მიჰყავდათ საქონელი და ცხვარი. მოკლედ როგორც ვაჟა-ფშაველა წერს, მთაში „თემის არსებობა დამოკიდებული იყო ძველად ვაჟკა-

ქება მამაკაცთათვის დიდი, ფასდაუდებელი საჩუქარია, ვაჟკაცი მუდამ ცდილობდა ქალების საქებური ყოფილიყო, იმათის დითირამების ღირსი. ქალები ხშირად ვაჟკაცებს ვაჟკაცობისთვის ალექსებდნენ კიდევ. ქება დიდებას უძღვნიდნენ ლექსებში და ნაწლადაც გამოჩენილს, გულადს, მუხლადს, მტრისთვის რისხვის მიმცემს ვაჟკაცს იკიდებდნენ, მხდალს აძაგებდნენ ფერხულში ჩაბმულნი სათემო დღეობის დროს.“

საგმირო ლექსები დღეობა-შეკრებებზე (ჯარობაზე) იმღერებოდა. ხევესურები მათ სიმღერეს უწოდებდნენ. არსებობდა სიმღერის შესრულების თავისებური ტრადიცია, რომლის აღწერაც აკაკი შანიძემ შემოგვინახა: „სიმღერე ხევესურეთში უფრო იმას გულისხმობს, რომ ჯარში უფროსები დასხდებან, ხელში ლუდიანი ჯამები უჭირავთ, უმცროსები კი თავმოხდილებია და ცალ მუხლზე დაჩოკილი, ერთ მათგანს ფანდური აქვს და ამღერებს საგმირო შინაარსის სიტყვებს, შემდეგ ფანდურს მეორეს გადასცემს და ახლა ის დაამღერებს, შემდეგ იგი მესამეს გადასცემს, იგი კიდევ სხვას.“

სიმღერის შესრულების ამ წესში ყურადღებას იქცევს ის მოკრძალებული დამოკიდებულება, რომელიც ახალგაზრდებს თავდადებული თავდადებული ვაჟკაცების სახელი და საერთოდ, უფროსი თაობის წინაშე ჰქონიათ. ამ მოკრძალებას ინვევდა შეგნება იმისა, რომ თუ საკუთარი მიწა-წყალი ჰქონდათ და თავისი ვინაობაც იცოდნენ, ეს სწორედ მათი დამსახურება იყო.

საგმირო პოეზიამ მრავალი განთქმული ვაჟკაცის სახელი და საქმენი შემოგვინახა, ამჯერად მათგან ხირჩლა ბაბურაულს (არაბულს) გავიხსენებთ, რომლის შესახებაც ერთ-ერთ ლექსში დანახებითაა ნათქვამი: „ხევესური აღარ გამოვა ხირჩლაისთანა ხმლიანი.“

ხირჩლასა დამ ის საგმირო საქმეებზე მრავალი, მართლაც პოეტური ღირსებით გამორჩეული ლექსი შეითხზა. ბაბურაული ტანად მაინც და მაინც მაღალი არ ყოფილა და ხმალიც მოკლე უჭარებია, მაგრამ სამაგიეროდ მისი ხმარება სცოდნია

განსაკუთრებით ნიშანდობლივია ქისტი ქალების დამოკიდებულება სახელგანთქმული ვაჟკაცის მიმართ. მათ თვალის უწყალობით იმ გზისკენ ცქერაში, რომელზეც ბაბურაული უნდა გამოჩენილიყო, რადგან მისი გამოჩენა ერთდროულად უნდოდათ კიდევ და არც უნდოდათ. უნდოდათ იმიტომ, რომ ვაჟკაცობისა და სიმამაცის სილამაზეს აფასებდნენ და მათი ნახვა ენატრებოდათ, მაგრამ, ამავე დროს, არც უნდოდათ, რადგან კარგად ახსოვდათ, ლურჯაზე ამხედრებული ხირჩილა მათ სოფელში მოყვრად არ მიდიოდა.


„ტუტილის კიდურ გახვრიტეს მითხოვლთ ქალებმ ცქერითა: „როს გამოჩნდება, ნეტარა, ბაბურაული ფრენითა? ხირჩლავ ნუმც გამასჩენილხარ თავის ლურჯაის ცხენითა“.

ორთაბრძოლაში ხირჩლას დამარცხება შეუძლებელი ყოფილა. გადმოცემამ შემოგვინახა, როგორ შეძლო მითხოვლმა ქისტმა სუიკა ამანსვილმა მისი მოკვლა. ბაბურაული სუიკას თოფს არა შეუშინდა იმის იმედით, რომ ვიდრე ქისტი მას მოკიდებულ აბედს დაადებდა და ესროდა, მანამდე ხმლით მიეჭრებოდა, მაგრამ შეცდა, რადგან სუიკას თურმე თავისი თოფი უკვე ჩახმახით ჰქონდა გამართული.

განსაკუთრებით ცხოველწარმოდგენას გვიქმნის ხირჩლას ვაჟკაცობაზე ლექსი, რომელიც მის საქმეებს კი არ აღწერს, არამედ იმ პატივსა და დიდებას, რომელიც ხევესურთა სასახლო შვილის მოკვლით გადიდგულიანებულ სუიკას თავის ხალხში მოუპოვებია: „შენი მამკლავი, ხირჩლაო, მითხოს მემეტად ჯდებოდა: კარზედ მაუდის მლოცავი, ფეხზედ არ ამუდგებოდა; შინ სულნი არ უდგებოდა, მთა-წვეთა იარეოდა.“

მართლაც რომ სახელის მოხვეჭის ვერანაირი მოსახვეჭელი ვერ შეედრება. გუდანის ჯვარში ხევისბერი ხირჩლას საკარგემის დღესაც დგამენ და პირველად მის შესანდობარს აბობენ.

გვანცა კოპლატაძე, ფილოლოგიის პეცნიერებათა დოქტორი, პეოფესორი



(ეპისკოპოსი ბენედიქტე (ბეჯითი ჯალალონია) და გაზეთ „ნოვოზუნი“ რედაქტორი ვალერი ძაძაძია, გაზეთ „სამეგრელოს ქრონიკის“ რედაქციის)

ეპისკოპოსი ბენედიქტე (ბეჯითი ჯალალონია) დაბადებულ სარაქონს (სამარგალო) 1939 - ში 7 ლურთუთას (ქირსეს). ირო მოშინას მიცუნსია „ემაჭოფალეფი“: ძაძუ დო უშუ. საპაპო უგურუაფ მცხეთა დო ზაგორსკის, 1963 – 67 (საქორ-თუო. რუსეთი).

წოფე კოსტანტინე ს. გამსახურდიაში მდივანი („კოლხური კოშკი“ 1971).

ჭარუნს მარგალურო. გინმოთანგუნს. გინოთანგილი აფ შოთა მესხი („ყილოშტყევაში“), ტერენტი კვირკველია დო შხვა მოლერსეფი.

გიშარტაშული

საქრისტიანო ქვეყნებში ბერ-მონაზონთა საროსკიპოების გადაშენების სურვილით, ნინო ივსიხის ასულ იორაიშვილს ეძღვნება ეს თარგმანი.

ეპისკოპოსი ბენედიქტე

1
სადიდებულო ჯიშთი გვალაში,
ორბეფს, არნივეფს
ველაფართქაფუ,
ბერთო-ბერთო ცინ თირ დო
ჭვიმაში

ირო გილახა აქიმნუაფუ.,
ვეიართინე მართალ მონირზეს,
თიც ორთ, მუთ ეშმას
ამუდუაფუ?
ცოდა მოთხოზუ ამდლა დო
ამსერ,

ბჟასუ ამიორს
ვათონდლულაფუ.
